KA030124160379017

№ 01-19720 **11 / სექტემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაზა სოფრომაძეს

ადამიანური რესურსების მართვისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელის
მარიანა მკურნალის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 19 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით ქ. ლისაბონში (პორტუგალია) ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ დაგეგმილია მინისტრების კოფერენციის გამართვა დაბერების საკითხებზე, კერძოდ: “ A sustainable Society for all ages: Ralizing the potential of living longer”.

აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ქალბატონი სოფიკო ბელქანია და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ქალბატონი ნინო ოდიშარია.

ვიზიტთან დაკავშირებულ ხარჯებს (სასტუმრო და მგზავრობა) ანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი სოფიკო ბელქანიასა და ქალბატონი ნინო ოდიშარიასთვის 19 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით და დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

მარიანა მკურნალი